

საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/181

ქ. ბათუმი

20 ივლისი, 2022 წელი


ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის №01-02/202 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის და სერტიფიკატის დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 მარტის №01-02/71 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2022 წლის 18 ივლისის №815480 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს პროფესიული გადამზადების პროგრამა „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს: მამუკა თურმანიძე, ნიკოლოზ მესხი, ჯიმშერ დიასამიძე, გიორგი მახარაძე, ლუკა ვანიშვილი (დაეგზავნოს ცენტრის ელექტრონული ფოსტის - vocational@bsu.edu.ge მეშვეობით).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30)

რექტორი, პროფესორი



მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის

„მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის

2022 წლის 20 ივლისის N 01-02/181 ბრძანების დანართი 1



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა
პროგრამის სახე: X პროფესიული მომზადება X პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 3 <input checked="" type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: I-IX კვირაში 15-15 საათი, ხოლო X კვირას - 7 საათი განმსაზღვრელი შეფასებისთვის;
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური:10 მაქსიმალური: 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- განათლება: სრული ზოგადი;
- ასაკი: არანაკლებ 18 წელი;
- პრაქტიკული გამოცდილება სოფლის მეურნეობის მიმართულებით: მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წელი; მემცენარეობის დარგში დასაქმებული ფერმერი და/ან აგრონომი და/ან აგრომეწარმე და/ან აგრობიზნესის წარმომადგენელი და/ან აგრარული მიმართულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

პროგრამის მიზნები:

პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ განხორციელების მიზანია მცენარეთა დაცვის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, რომელიც აცნობიერებს მცენარეთა დაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო, ეროვნული კანონმდებლობის და რეგლამენტების მოთხოვნებს, შეუძლია მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა - გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით, უზრუნველყოფს ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელებას აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო - სამეურნეო კულტურებისთვის, კერძოდ - სუბტროპიკული, კენკროვანი, კაკლოვანი კულტურები, ასევე ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები და ვაზი.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. მცენარეთა მავნე ორგანიზმების ჯგუფების იდენტიფიცირება;
2. მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა და გამოყენება;
3. აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო - სამეურნეო კულტურებისთვის მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელება (სუბტროპიკული, კენკროვანი, კაკლოვანი კულტურები, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, ვაზი);
4. მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო, ეროვნული კანონმდებლობისა და რეგლამენტების მიმოხილვა;

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - სოფლის მეურნეობა/Agriculture 09114-3
- „საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარიული შესაძლებლობების გაძლიერება - SPS Capacity Building in Georgia”

პროგრამის მოკლე აღწერა: გადამზადების პროგრამის მსმენელი შეიძლება იყოს არანაკლებ 18 წლის ასაკის სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს პრაქტიკული გამოცდილება აგრარული მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება (არანაკლებ 1 წელი), კერძოდ -

მემცენარეობის დარგში დასაქმებული ფერმერი და/ან აგრონომი და/ან აგრომეწარმე და/ან აგრობიზნესის წარმომადგენელი და/ან აგრარული მიმართულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამა შემუშავებულია „საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარიული შესაძლებლობების გაძლიერება - SPS Capacity Building in Georgia” ფარგლებში.

გადამზადების პროგრამა საშუალებას აძლევს მსმენელებს გაეცნონ მცენარეთა დაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობის და რეგლამენტების მოთხოვნებს, შეძლონ მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა-გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით და უზრუნველყონ ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელება აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის, ისეთი როგორცაა: სუბტროპიკული, კენკროვანი, კაკლოვანი კულტურები, ასევე ბოსტნეული და ბალახეული კულტურები და ვაზი.

პრაქტიკული სავარჯიშოების ფორმატი უზრუნველყოფს მსმენელთა გუნდში მუშაობისთვის საჭირო და საკუთარ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარების გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესი წარიმართება მაღალკვალიფიცირებული პერსონალის ჩართულობით ბსუ-ს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიუმში და რეალურ გარემოში - ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი“-ს ბაზაზე. პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს 10 კვირას, სულ 142 საათი (I-IX კვირაში 15-15 საათი, ხოლო X კვირას - 7 საათი; კვირაში 2-3 დღე დამსაქმებელთან შეთანხმებით).

სწავლების დროს ფართოდ იქნება გამოყენებული პრეზენტაციები, ვიდეო ჩვენება, სასწავლო მასალების დემონსტრირება, შესაძლებელია გარკვეული თეორიული საკითხების დისტანციური სწავლება. მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: 1) განმავითარებელ შეფასებას - ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით და ტარდება სწავლების პარალელურად; 2) განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება მე-10 კვირაში. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ.

პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდნენ შესაბამისი პროფილის მეურნეობებში ან წამოიწყოს საკუთარი საქმიანობა. პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი შესაბამისი დანართით.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
I.	<p>1. აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზოგადი მიმოხილვა;</p> <p>2. აჭარის რეგიონში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ძირითადი ჯგუფები: მავნებლები, დაავადებათა გამომწვევები და სარეველები;</p> <p>3. მცენარეთა მავნებლები: მავნე მწერები, ტკიპები, ნემატოდები და მღრღნელები;</p> <p>4. მავნებლების მიერ გამოწვეული მცენარის დაზიანების ფორმები, მცენარეთა მავნებლების იდენტიფიცირება მცენარის დაზიანების ფორმებისა და ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე;</p> <p>5. მცენარეთა მავნე ორგანიზმების აღრიცხვის მეთოდები და წესების ზოგადი მიმოხილვა;</p> <p>6. მცენარეთა მავნე ორგანიზმების მავნეობის ეკონომიკური ზღვრების დადგენა;</p>	N1	15 სთ	<ul style="list-style-type: none"> • ლექცია; • დემონსტრირება; • დისკუსია; • პრაქტიკული მეცადინეობა; • პრაქტიკული სავარჯიშო; 		<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>

II.	<p>1. მცენარეთა დაავადებების გამომწვევი ბიოტური ფაქტორები: სოკოები, ბაქტერიები, ვირუსები, ყვავილოვანი პარაზიტები;</p> <p>2. მცენარეთა სტრესის გამომწვევი აბიოტური ფაქტორები: კლიმატური, ნიადაგური, მექანიკური ფაქტორები, გარემოს დაბინძურება და პესტიციდების არასწორად გამოყენება) და სტრესის გამომწვევი ფაქტორებით გამოწვეული ზიანი;</p> <p>3. სარეველების დაჯგუფება და ამოცნობა ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე;</p>	N1	15 სთ	<ul style="list-style-type: none"> • ლექცია; • დემონსტრირება; • დისკუსია; • პრაქტიკული მეცადინეობა; • პრაქტიკული სავარჯიშო; 		<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>
III.	<p>1. მცენარეთა დაცვის მნიშვნელობა;</p> <p>2. მცენარეთა დაცვის ღონისძიებების და მცენარეთა დაცვის მეთოდები: აგროტექნიკური, მექანიკური, ბიოლოგიური, სელექციური, ბიოტექნიკური, ბიოტექნოლოგიური, ქიმიური, ინტეგრირებული; - ი</p> <p>3. სასარგებლო ცოცხალი ორგანიზმები მცენარეთა დაცვაში, მათი თავისებურებები და შესაძლებლობები;</p> <p>4. სასარგებლო ცოცხალი ორგანიზმების იდენტიფიცირება;</p> <p>5. სასარგებლო ცოცხალი ორგანიზმების გავრცელების ხელშეწყობის ღონისძიებები აგროვადებისა და წესების შესაბამისად</p>	N2	15 სთ	<ul style="list-style-type: none"> • ინტერაქტიული ლექცია; • დემონსტრირება; • დისკუსია; • პრაქტიკული მეცადინეობა; • პრაქტიკული სავარჯიშო; 		<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>

<p>IV.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. პესტიციდების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები; 2. პესტიციდების კატალოგი, მცენარეთა დაცვის საშუალებების შესყიდვა, მარკირება და პესტიციდის ტრანსპორტირება და შენახვა - 3. მცენარეთა დაცვის საშუალებების ნორმების გაანგარიშება მავნე ორგანიზმების მიხედვით; 4. სამუშაო ნაზავის (ხსნარის) მომზადება და უსაფრთხო გამოყენების წესები ღია და დახურულ სივრცეში 5. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებით გარემოს შესაძლო დაზიანებების რისკები; 6. მცენარეთა დაცვის მანქანები და მათი მუშაობის პრინციპები; 7. სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შერჩევისა და გამოყენების წესები - 8. გამოყენებული უნიფორმისა და ხელსაწყო-აპარატურის გარეცხვა-დეზინფექცია და შენახვა; 9. პირველადი დახმარება პესტიციდებით მოწამლვისას; 10. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ჩანაწერების წარმოება მიკვლევადობის, პროდუქციის ხარისხისა უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების მიზნით. 	<p>N2</p>	<p>15 სთ</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინტერაქტიული ლექცია; • დემონსტრირება; • დისკუსია; • პრაქტიკული მეცადინეობა; • პრაქტიკული სავარჯიშო; 	<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>
------------	---	-----------	--------------	---	--

V.	<p>1. სუბტროპიკული კულტურების ძირითადი მავნე ორგანიზმები -</p> <p>2. მავნე ორგანიზმების მიერ სუბტროპიკული კულტურების დაზიანების ფორმები და სიმპტომები;</p> <p>3. სტრესული ფაქტორების მართვა სუბტროპიკული კულტურებში;</p> <p>4. სუბტროპიკული კულტურების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის ინტეგრირებული მეთოდები და საშუალებების შერჩევა (აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ბიოტექნიკური, ბიოტექნოლოგიური, სელექციური, ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური);</p>	N3	15 სთ	<ul style="list-style-type: none"> • ინტერაქტიული ლექცია; • დემონსტრირება; • დისკუსია; • პრაქტიკული მეცადინეობა; • პრაქტიკული სავარჯიშო; 		<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>
VI.	<p>1. კენკროვანი კულტურების ძირითადი მავნე ორგანიზმები</p> <p>2. მავნე ორგანიზმების მიერ კენკროვანი კულტურების დაზიანების ფორმები და სიმპტომები;</p> <p>3. სტრესული ფაქტორების მართვა კენკროვანი კულტურებში;</p> <p>4. კენკროვანი კულტურების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის ინტეგრირებული მეთოდები და საშუალებების შერჩევა (აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ბიოტექნიკური, ბიოტექნოლოგიური, სელექციური, ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური);</p>	N3	15 სთ	<ul style="list-style-type: none"> • ინტერაქტიული ლექცია; • დემონსტრირება; • დისკუსია; • პრაქტიკული მეცადინეობა; • პრაქტიკული სავარჯიშო; 		<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>

VII.	<p>1. კაკლოვანი კულტურების (თხილი, კაკალი) ძირითადი მავნე ორგანიზმები;</p> <p>2. მავნე ორგანიზმების მიერ კაკლოვანი კულტურების (თხილი, კაკალი) დაზიანების ფორმები და სიმპტომები;</p> <p>3. სტრესული ფაქტორების მართვა კაკლოვანი კულტურებში (თხილი, კაკალი);</p> <p>4. კაკლოვანი კულტურების (თხილი, კაკალი) მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის ინტეგრირებული მეთოდები და საშუალებების შერჩევა (აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ბიოტექნიკური, ბიოტექნოლოგიური, სელექციური, ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური);</p>	N3	15 სთ	<ul style="list-style-type: none"> • ინტერაქტიული ლექცია; • დემონსტრირება; • დისკუსია; • პრაქტიკული მეცადინეობა; • პრაქტიკული სავარჯიშო; 		<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>
------	---	----	-------	---	--	--

VIII.	<p>1. ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების ძირითადი მავნე ორგანიზმები -</p> <p>2. მავნე ორგანიზმების მიერ ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების დაზიანების ფორმები და სიმპტომები;</p> <p>თეორიულ/პრაქტიკული</p> <p>3. სტრესული ფაქტორების მართვა ბოსტნეულ და ბალჩეულ კულტურებში; თ</p> <p>4. ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის ინტეგრირებული მეთოდები და საშუალებების შერჩევა (აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ბიოტექნიკური, ბიოტექნოლოგიური, სელექციური, ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური);</p>	N3	15 სთ	<ul style="list-style-type: none"> • ინტერაქტიული ლექცია; • დემონსტრირება; • დისკუსია; • პრაქტიკული მეცადინეობა; • პრაქტიკული სავარჯიშო; 		<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>
IX.	<p>1. ვაზის ძირითადი მავნე ორგანიზმები -</p> <p>2. მავნე ორგანიზმების მიერ ვაზის დაზიანების ფორმები და სიმპტომები;</p> <p>3. სტრესული ფაქტორების მართვა ბოსტნეულ და ბალჩეულ კულტურებში;</p> <p>4. ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის ინტეგრირებული მეთოდები და საშუალებების შერჩევა (აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ბიოტექნიკური, ბიოტექნოლოგიური, სელექციური, ფიზიკურ-მექანიკური და</p>	N3	15 სთ	<ul style="list-style-type: none"> • ინტერაქტიული ლექცია; • დემონსტრირება; • დისკუსია; • პრაქტიკული მეცადინეობა; • პრაქტიკული სავარჯიშო; 		<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>

	ქიმიური);					
X.	<p>1. საქართველოს კოდექსი “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“;</p> <p>2. საქართველოში ნებადართული პესტიციდების კატალოგის მნიშვნელობა და გამოყენების წესები;</p> <p>3. ტექნიკური რეგლამენტი - „პესტიციდების და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესები“;</p> <p>4. საქართველოს მთავრობის 2013 წლის N 198 დადგენილებას „ბიოწარმოების შესახებ“;</p>	N4	2	• ლექცია;		A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)
	განმსაზღვრელი შეფასება	N1 - N4	5		<p>გამოკითხვა (ტესტი/წერილობითი დავალება);</p> <p>პრაქტიკული დავალება</p> <p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით;</p>	<p>A გარემო სასწავლო აუდიტორია (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15)</p> <p>C -გარემო ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი</p>